სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/24

ქ. თბილისი 15 მაისი 2026

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონებების იჯარით გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 85-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 და 45-ე მუხლების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2026 წლის 22 აპრილის №0000464635 და სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) მოადგილის (ვიცე-კანცლერი) თეიმურაზ ბულიას 5 მაისის №0000528565 წერილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 15 მაისის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, იჯარის უფლებით, 3 (სამი) წლის ვადით, მობილური ტელეფონის დამტენი მოწყობილობის განთავსების მიზნით, გასცეს უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქვემოთ ჩამოთვლილი უძრავი ქონებები:

- მე-8 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 0,5 კვ.მ. ფართი (მდებარე: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. №77; ს/კ 01.10.1 ქ. №23.055);

- პირველი სასწავლო კორპუსის მე-4 სართულზე არსებული 0,5 კვ.მ. ფართი (მდებარე: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. №68; ს/კ 01.10.17.041.016);

- მე-6 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 0,5 კვ.მ. ფართი (მდებარე: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. №77; ს/კ 01.10.13.023.181);

- მე-11 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 0,5 კვ.მ. ფართი (მდებარე: ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის ქ. №17; ს/კ 01.12.09.017.052).

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**